

მგლობელობასთან დაკავშირებული ხარვეზები ქართული  
კანონმდებლობის მიხედვით

ანა დუგლაძე

*ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო (ბიზნეს)  
სამართლის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების*

*მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მათა სულხანიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2017

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული.

ანა დუგლაძე

03.07.2017

## აბსტრაქტი

ქვეყნის განვითარება და მოწესრიგებული სამოქალაქო ბრუნვა დამოკიდებულია, თუ რამდენად კარგად არის ესა თუ ის საკითხი გაწერილი ქვეყნის კანონმდებლობაში და რამდენად სწორად გამოიყენება არსებული კანონმდებლობა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა უფლებებთან დაცვის თვალსაზრისით.

წინამდებარე ნაშრომი ეხება სანივთო სამართლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხს - მფლობელობას. მასში განხილულია მფლობელობის წარმოშობის, დაცვისა და შეწყვეტის საფუძვლები. ასევე, მფლობელობის არსი და მნიშვნელობა ქართულსა და უცხოურ კანონმდებლობაში.

ნაშრომი არის მცდელობა იმისა, რომ გამოიკვეთოს საკანონმდებლო ხარვეზები, რომელიც არსებობს ქართული სამოქალაქო კოდექსის მფლობელობის თავში და ხელს უშლის ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

კვლევა ეფუძნება ნორმატიული ბაზას, სასამართლო პრაქტიკას და სხვა ქვეყნების სამართლის შედარებით ანალიზს. ნორმატიული თვალსაზრისით განხილული იქნება მფლობელობის მარეგულირებელი ნორმები და მისი ხარვეზები ქართულ სამოქალაქო კოდექსში. სასამართლო პრაქტიკის ანალიზით კი წარმოდგენილი იქნება აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის მცდელობები. ხოლო შედარებითი ანალიზის საფუძველზე დადგინდება, თუ რამდენად შეესაბამება ქართული ნორმატიული კანონმდებლობა ევროპული სამართლის ნორმებს. ძირითადად, შედარება მოხდება გერმანულ, ფრანგულ და იტალიურ სამოქალაქო კოდექსებთან.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** მფლობელობა, მფლობელობის დაცვა, ხანდაზმულობა, კეთილსინდისიერი მფლობელი, საკუთრების შექმნა.

## Abstract

Development of the county and civil circulation depend on how well is designated the issues in legislation of the country and properly used in existing legislation in the view of protection of rights of participants.

The presented article refers to one most important and problematic issue - possession. In the article is overviewed the basis of the origin, protection and termination of ownership, as well as the essence and the mean of ownership in Georgian and foreign legislation.

The article is attempt to outline the legislative defects, existing in the provision of possession in Georgian Law and interferes to establish one kind judicial practice.

The research is based on normative base, judicial practice and comperative analysis of foreign countries. From as statutory base will be discussed norms regulating possession in Georgian Criminal Code and will be emphasized the legislative gaps. By analysis of judicial practice will be introduced attempts to eliminate such gaps. Therefore on the basis of comparative analysis, will determined if the Georgian normative legislation comply with the norms of European law. The comparison will mostly be made with German, French and Italian civil codes.

**Key words:** Ownership, Protection of ownership, Statute of limitation, Bona fide purchaser, Purchase ownership.